სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

23 ივლისი, 2026 წ.

აკადემიური საბჭოს
დადგენილება № 06-01/128

2026-2027 სასწავლო წლისათვის ბსუ-ს „სპეციალური მასწავლებლის მომზადების“ საგანმანათლებლო პროგრამაზე მისაღები კონტინგენტის განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 21–ე მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის, ბსუ–ს წესდების მე–8 მუხლის მე–4 მუხლის „ი“ ,,პირის სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 1 ივლისის №113/ნ ბრძანების, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის №111 დადგენილებით დამტკიცებული ,,ბსუ-ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ (ცვლილება ამავე წესში ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2021 წლის №06-01/130 დადგენილებით), ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმის ამონაწერისა (№23-05/06, 25.06.2026) და ფაკულტეტის დეკანის სამსახურებრივი ბარათის (MES 6 25 0000833955, 01.07.2026) საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დაადგინა:

1. 2026-2027 სასწავლო წლისათვის ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის „სპეციალური მასწავლებლის მომზადების“ საგანმანათლებლო პროგრამაზე **მისაღები კონტინგენტი** განისაზღვროს **60 ადგილით**.
2. სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელმა ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტმა (ფაკულტეტის დეკანი ლელა თურმანიძე (საკონტაქტო პირი), პროგრამის ხელმძღვანელი, ამავე ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი მარინე გურგენიძე), ბსუ-ს მართვის ორგანოებთან და სასწავლო პროცესის დეპარტამენტთან კოორდინაციით, უზრუნველყოს წინამდებარე დადგენილების შემდეგ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარება.
3. დადგენილება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
4. დადგენილება დაეგზავნოს ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, რექტორის მოადგილეს (გ. ქათამაძე), ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ბსუ-ს ფაკულტეტებს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია), ადამიანური რესურსების მართვის სამსახურსა და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.
5. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
6. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის ქ. №30).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი **ტიტე არაშიძე**